

განმარტებითი ბარათი

„ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

დადგენილება მომზადებულია „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე და 91 მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2025 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 20719,9 ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის საწყის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2025 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 5693,8 ათასი ლარით (37,9 %-ით).

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

➤ **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 13918,9 ათასი ლარით;

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 36,1 %-ით (3693,8 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

➤ **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6800,0 ათას ლარს;

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი გაზრდილია 41,7 %-ით (2000,0 ათასი ლარით).

2025 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

➤ **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 270,4 ათასი ლარამდე, მათ შორის:

✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 270,4 ათასი ლარი;
2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები უცვლელია.

➤ **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 591,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

✓ პროცენტები 296,0 ათასი ლარი.

✓ რენტა 295,0 ათასი ლარი;

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტის მოცულობა გაიზარდა 10,3 ათასი ლარით.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 101,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ სანებართვო მოსაკრებლები 9,0 ათასი ლარი;

✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 75,0 ათასი ლარი;

- ✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 17,6 ათასი ლარი;
- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 300,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 257,0 ათასი ლარი;
 - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 43,0 ათასი ლარი;
 - არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 55,0 ათას ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 16398,7 ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1880,1 ათასი ლარით).

2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, საკრებულოს, მერიისა და იურიდიული პირების თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება - 6470,6 ათასი ლარი; მათ შორის:
 - ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) - 1244,1 ათასი ლარი;
 - ✓ გარე განათება - 571,7 ათასი ლარი;
 - ✓ წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 28,0 ათასი ლარი;
 - ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია - 2561,4 ათასი ლარი;
 - ✓ სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 1069,0 ათასი ლარი;
 - ✓ მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია - 306,4 ათასი ლარი;
 - ✓ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 70,0 ათასი ლარი;
 - ✓ სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 90,0 ათასი ლარი;
 - ✓ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 30,0 ათასი ლარი;
 - დასუფთავება და გარემოს დაცვა განსაზღვრა - 1202,3 ათასი ლარი;
 - განათლება - 3216,1 ათასი ლარი, მათ შორის:
 - ✓ სკოლამდელი განათლება - 3166,1 ათასი ლარი;
- 2024 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 270,1 ათასი ლარით (9,3 %), რაც ძირითადად გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით;
- ✓ საჯარო სკოლების დაფინანსება - 50,0 ათასი ლარი
- აღნიშნულიდან 50,0 ათასი ლარი წარმოადგენს სოფლებში ქარიატა და ხეთა სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელებისა და მოსწავლეების ტრანსპორტირების ასიგნებას;

➤ **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 3300,0 ათასი ლარი მათ შორის:**

✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1619,4 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული ჯგუფების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრი“ იფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის).

✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 58,3 ათასი ლარი;**

ამ კუთხით გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია ისტორიული ძეგლების მონიტორინგისათვის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

✓ **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 45,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინიცირებული პროექტების თანადაფინანსება

✓ **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 18,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხობის ხარების დედათა მონასტრისა და პირველი ხორგის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

✓ **კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა - 1559,3 ათასი ლარი;**

✓ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი. სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

➤ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1120,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓ **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 231,0 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

✓ **ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა - 53,7 ათასი ლარი;**

მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე.

- ✓ მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა - 491,2 ათასი ლარი, გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:
 - ავადმყოფთა სოციალური დახმარება -278,8 ათასი ლარი;
 - სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) -6,0 ათასი ლარი;
 - მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა, ჩერნობილით დაზარალებულთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 8,3 ათასი ლარი
 - მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი - 22,3 ათასი ლარი;
 - უმწეოთა სასაბუღალტრო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება -140,0 ათასი ლარი;
 - ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი - 50,0 ათასი ლარი;
 - უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება - 20,0 ათასი ლარი;
- ✓ უმწეოთა ერთჯერადი დახმარება - 136,6 ათასი ლარი;
- ✓ ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება - 30,0 ათასი ლარი;
- ✓ მოსახლეობის სოციალური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა - 143,3 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:
 - არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების, კერძოდ: მარტოხელა (დაუძლურებულ) ხანდაზმულთა შინამოვლის თანადაფინანსება -20,0 ათასი ლარი;
 - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი დახმარება (სტატუს მინიჭებულთა) – 7,5 ათასი ლარი;
 - არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების, კერძოდ: ძალადობის მსხვერპლ ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის თანადაფინანსება 5,0 ათასი ლარი;
 - უსახლკაროდ დარჩენილთათვის ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადი -3,8 ათასი ლარი;
 - სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა) ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას (არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში) – 5,0 ათასი ლარი
 - სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალების შეძენა - 80,0 ათასი ლარი;
 - მგლისა და ტურას ამოღება ბუნებიდან -4,0 ათასი ლარი;
 - მაწანწალა ძაღლების გაყვანა -18,0 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის მიხედვით, გენდერული ინდიკატორები შემუშავებული უნდა იყოს პროგრამისა და ქვეპროგრამის საბოლოო და შუალედური შედეგებისთვის.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია გენდერული ბიუჯეტის შემუშავება და

პროგრამებისა და პროექტების დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროების გათვალისწინებით.

ამდენად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2025 წელს ხობის მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის (პროგრამული დანართი) გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები.

ხობის მერის მიერ შეირჩა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც გენდერული ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, UNDP-ის პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერით. გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, შესაბამისი გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში.

პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები:

- პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (0201); ქვეპროგრამები: გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (020101); ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (020102);

- პროგრამა: კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (0202); ქვეპროგრამები: გარე განათება (020201); წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (020202); მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია (020203);

- პროგრამა: დასუფთავების ღონისძიებები (0301);

- პროგრამა: სკოლამდელი განათლების დაფინანსება (0401); საჯარო სკოლების დაფინანსება (0405);

- პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა (0501); ქვეპროგრამები: ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები (050102); ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის ხელშეწყობის ღონისძიებები (050106);

- პროგრამა: ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (0503);

- პროგრამა: კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა (0505);

- პროგრამა: მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (0603); ავადმყოფთა სოციალური დახმარება (06 03 01);

- პროგრამა: მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა (06 06);

სამომავლოდ, კვლავ გაგრძელდება მუშაობა გენდერულ ბიუჯეტზე და პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფორმირების დროს გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.

ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტში მწვანე პოლიტიკის ფარგლებში პროგრამების მარკირება

ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. ხობის მუნიციპალიტეტი პარტნიორია UNDP-ის პროგრამის „მწვანე მომავალი: მწვანე გადასვლის ოთხწლიანი გზა“, რომელის ფარგლებში დაიწყო საბიუჯეტო პროგრამებში მარკირება მწვანე პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების თაობაზე. პირველ ეტაპზე, 2025 წლის ბიუჯეტში მოხდა იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების იდენტიფიცირება, რომლის განხორციელებს ხელს შეუწყობს გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირებას.

მარკირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც ხელს უწყობს გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირებას:

- პროგრამა: კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (0202); ქვეპროგრამები: გარე განათება (020201); წყლის სისტემის რეაბილიტაცია და

ექსპლოატაცია (020202); მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია (020203); სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (020204);

□ პროგრამა: სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (0205);

□ პროგრამა: დასუფთავების ღონისძიებები (0301);

2025 წელს გაგრძელდება მწვანე ბიუჯეტზე მუშაობა.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

#	დასახელება	2024 საწყ.	2025 საწყ.	/ათასი ლარი/	
				2025 2024 - თან	2025 2024 %
	ხობის მუნიციპალიტეტი	16398.7	22036.9	5638.2	134.4
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5877.4	6727.9	850.5	114.5
01 01	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5713.4	6563.9	850.5	114.9
01 01 01	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1433.2	1612.0	178.8	112.5
01 01 02	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	4280.2	4951.9	671.7	115.7
01 01 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა			0.0	#####
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	164.0	164.0	0.0	100.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	90.0	90.0	0.0	100.0
01 02 02	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დაფარვა			0.0	#####
01 02 03	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	74.0	74.0	0.0	100.0
01 03	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებები			0.0	#####
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3099.6	6470.6	3371.0	208.8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)	817.0	1244.1	427.1	152.3
02 01 01	გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	802.0	1176.1	374.1	146.6
02 01 02	ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	15.0	68.0	53.0	453.3
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1853.7	4536.5	2682.8	244.7
02 02 01	გარე განათება	497.9	571.7	73.8	114.8

02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	24.0	28.0	4.0	116.7
02 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია	1017.4	2561.4	1544.0	251.8
02 02 04	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	33.0	1069.0	1036.0	3239.4
03 02 06	მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია	281.4	306.4	25.0	108.9
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	25.0	70.0	45.0	280.0
02 05	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	73.9	90.0	16.1	121.8
02 06	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	300.0	500.0	200.0	166.7
02 07	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	30.0	30.0	0.0	100.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	818.5	1202.3	383.8	146.9
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	818.5	1202.3	383.8	146.9
04 00	განათლება	2932.0	3216.1	284.1	109.7
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2896.0	3166.1	270.1	109.3
04 05	საჯარო სკოლების დაფინანსება	36.0	50.0	14.0	138.9
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2728.3	3300.0	571.7	121.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1346.4	1619.4	273.0	120.3
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	53.0	55.0	2.0	103.8
05 01 02	ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები 428900.0	488.8	641.3	152.5	131.2
05 01 03	სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები	122.0	135.0	13.0	110.7
05 01 06	ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის ხელშეწყობის ღონისძიებები	682.6	788.1	105.5	115.5
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	58.3	58.3	0.0	100.0
05 02 02	მეგლთა დაცვის ხარჯები	58.3	58.3	0.0	100.0
05 02 03	კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება			0.0	#####
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	45.0	45.0	0.0	100.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	16.0	18.0	2.0	112.5
05 05	კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა	1262.6	1559.3	296.7	123.5
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	942.9	1120.0	177.1	118.8
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	204.7	231.0	26.3	112.8
06 02	ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა	53.7	53.7	0.0	100.0
06 03	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	491.2	525.4	34.2	107.0
06 03 01	ავადმყოფთა სოციალური დახმარება	257.4	278.8	21.4	108.3
მ. შ.	<i>საოპერაციო თანხები</i>	155.0	155.0	0.0	100.0

	შ.შ.მ. პირთა და ონკოლოგიურ და ონკოლოგიურზე საექვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორნოროგრაფია, კომპიუტ. ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია) დაფინანსება ერთჯერადად	25.0	25.0	0.0	100.0
	დიალუზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური დახმარება	43.2	52.8	9.6	122.2
	„ც“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის გამოკვლევის დაფინანსება ერთჯერადად			0.0	#####
	0-18 წლამდე ასაკის პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარება	20.0	30.0	10.0	150.0
	აუტიზმით დაავადებულ ბავშვებზე წელიწადში ორჯერადად 300-300 ლარის ოდენობით დახმარების თანხის გაცემა (თებერვლ-სექტემბერი)	4.2	6.0	1.8	142.9
	0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების, კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (კომუნალური ხარჯები) თანადაფინანსება 282118	10.0	10.0	0.0	100.0
06 03 02	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები)	6.0	6.0	0.0	100.0
06 03 03	მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა, ჩერნობილით დაზარალებულთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დადუპულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები	8.5	8.3	-0.2	97.6
06 03 04	მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი	22.3	22.3	0.0	100.0
06 03 05	უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება	130.0	140.0	10.0	107.7
06 03 06	ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი	50.0	50.0	0.0	100.0
06 03 07	უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება	17.0	20.0	3.0	117.6
06 04	უმწეოთა ერთჯერადი დახმარება	20.0	136.6	116.6	683.0
	ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის	20.0	20.0	0.0	100.0
	სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000ქულას და რომელთაც ყავთ 2-3 წლამდე ბავშვები ყოველკვარტალური ერთჯერადი დახმარება კვების უზრუნველსაყოფად.		45.0	45.0	#####
	სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 ქულას და რომელთაც ყავთ პირველი კლასის ბავშვები, სასკოლო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარება თითოეულ ბავშვზე		15.0	15.0	#####

	0-18 წლამდე შშმ ბავშვები რომელთაც აქვთ ყოველდღიური ჰიგიენური საშუალებების საჭიროება (პამპერსი, ერთჯერადი ჰიგიენური სალფეთქი) ჰიგიენური საშუალებების შესაძენად (200 ლარი კვარტალურად)		8.0	8.0	#####
	განსაკუთრებული საჭიროების მქონე 0-18 ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ სმენის აპარატით, აპარატისთვის საჭირო აქსესუარების შესაძენად, რომელიც საჭიროებს განახლებას, ერთჯერადად დახმარება		4.0	4.0	#####
	18 წელი და ზემოთ ასაკის ბენეფიციართა პერონალური ასისტენტის მომსახურება (3+1ბენეფიციარი)		44.6	44.6	#####
06 05	ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	30.0	30.0	0.0	100.0
06 06	მოსახლეობის სოციალური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა	143.3	143.3	0.0	100.0
მათ შორის	არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების, კერძოდ: მარტოხელა (დაუძლეველ) ხანდაზმულთა შინმშვიდობის თანადაფინანსება	20.0	20.0	0.0	100.0
	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი დახმარება (სტატუს მინიჭებულთა)	7.5	7.5	0.0	100.0
	არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების, კერძოდ: ძალადობის მსხვერპლ ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის თანადაფინანსება	5.0	5.0	0.0	100.0
	უსახლკაროდ დარჩენილთათვის ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადი	3.8	3.8	0.0	100.0
	სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა) ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას (არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში)	5.0	5.0	0.0	100.0
	სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალების შეძენა	80.0	80.0	0.0	100.0
	მგლისა და ტურას ამოღება ბუნებიდან	4.0	4.0	0.0	100.0
	ძაღვების გაყვანა	18.0	18.0	0.0	100.0

ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები

შემოსულ ობები/უს აღიარებ	დასახელება	2024 საწყისი	2025 საწყისი	2025 2024 - თან	2025 2024 %
--------------------------------	------------	-----------------	-----------------	-----------------------	----------------

	შემოსულობები	16,398.7	22,036.9	5,638.2	134.4
	შემოსავლები	16,343.7	21,981.9	5,638.2	134.5
	არაფინანსური აქტივების კლება	55.0	55.0	0.0	100.0
	ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	#DIV/0!
	ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	#DIV/0!
				0.0	#DIV/0!
	შემოსავლები	16,343.7	21,981.9	5,638.2	134.5
11	გადასახადები	15,025.1	20,718.9	5,693.8	137.9
11111	საშემოსავლო გადასახადი			0.0	#DIV/0!
11311	ქონების გადასახადი	4,800.0	6,800.0	2,000.0	141.7
113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,398.0	4,438.0	2,040.0	185.1
113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)			0.0	#DIV/0!
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.0	2.0	0.0	100.0
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	350.0	360.0	10.0	102.9
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2,050.0	2,000.0	-50.0	97.6
1136	სხვა გადასახადები ქონებაზე			0.0	#DIV/0!
116	სხვა გადასახადები (დღგ)	10,225.1	13,918.9	3,693.8	136.1
13	გრანტები	270.4	270.4	0.0	100.0
133	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	270.4	270.4	0.0	100.0
	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	270.4	270.4	0.0	100.0
	სპეციალური ტრანსფერი	0.0	0.0	0.0	#DIV/0!
	მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დაფინანსებისათვის			0.0	#DIV/0!
	მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები			0.0	#DIV/0!
14	სხვა შემოსავლები	1,048.2	992.6	-55.6	94.7
141	შემოსავლები საკუთრებიდან	544.7	591.0	46.3	108.5
1411	პროცენტები	260.0	296.0	36.0	113.8
	დივიდენდები			0.0	#DIV/0!
	რენტა	284.7	295.0	10.3	103.6
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	224.7	225.0	0.3	100.1
14153	მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე			0.0	#DIV/0!
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	60.0	70.0	10.0	116.7
14159	სხვა არაკლასიფიცირებული რენტა			0.0	#DIV/0!

142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	101.5	101.6	0.1	100.1
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	84.0	84.0	0.0	100.0
14222	საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი			0.0	#DIV/0!
14223	სანებართვო მოსაკრებელი	9.0	9.0	0.0	100.0
142214	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	75.0	75.0	0.0	100.0
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი			0.0	#DIV/0!
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	17.5	17.6	0.1	100.6
14231	შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან			0.0	#DIV/0!
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	17.5	17.6	0.1	100.6
143	ჯარიმები, სანქციები და საურავები	402.0	300.0	-102.0	74.6
144	ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე			0.0	#DIV/0!
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			0.0	#DIV/0!
				0.0	#DIV/0!
31	არაფინანსური აქტივების კლება	55.0	55.0	0.0	100.0
311	ძირითადი აქტივები			0.0	#DIV/0!
314	მატერიალური მარაგები	55.0	55.0	0.0	100.0
	ფასეულობები			0.0	#DIV/0!
	არაწარმოებული აქტივები	55.0	55.0	0.0	100.0
	მიწა	55.0	55.0	0.0	100.0
32	სხვა ბუნებრივი აქტივები	0.0	0.0	0.0	#DIV/0!
				0.0	#DIV/0!
	ფინანსური აქტივების კლება			0.0	#DIV/0!
	სესხები			0.0	#DIV/0!
	აქციები და სხვა კაპიტალი			0.0	#DIV/0!
				0.0	#DIV/0!
	ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	#DIV/0!
	საგარეო			0.0	#DIV/0!
	საშინაო			0.0	#DIV/0!

ბობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი დ. ჭოჭუა

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის ნოემბერი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

განისაზღვროს:

ა.ა) შემოსულობები - 22036,9 ათასი ლარით;

ა.ბ) გადასახდელები - 16398,7 ათასი ლარით;

ა.გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 270,4 ათასი ლარით, მათ შორის:

ა.გ.ა) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად - 270,4 ათასი ლარი;

ა.დ) სარეზერვო ფონდი - 90,0 ათასი ლარით;

ა.ე) ვალდებულებების ცვლილება, კლება 58,0 ათასი ლარით.

მუხლი 2.

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (ხოზის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართულის სახით.

მუხლი 3.

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 29/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016440).

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

ხოზის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევან ქავთარაძე

ხოზის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი

თავი I

ხოზის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ხოზის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	23349.8	28489.4	9129.2	19360.2	21981.9	0.0	21981.9
გადასახადები	12971.0	16725.1	0.0	16725.1	20718.9	0.0	20718.9
გრანტები	8891.4	10664.7	9129.2	1535.5	270.4	0.0	270.4
სხვა შემოსავლები	1487.4	1099.6	0.0	1099.6	992.6	0.0	992.6
ხარჯები	14087.0	17412.1	1065.3	16346.8	18536.8	0.0	18536.8
შრომის ანაზღაურება	3838.7	4312.6	0.0	4312.6	4857.5	0.0	4857.5
საქონელი და მომსახურება	2722.8	3752.7	1065.3	2687.4	3458.3	0.0	3458.3
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	18.8	16.0	0.0	16.0	16.0	0.0	16.0
სუბსიდიები	6251.4	7758.8	0.0	7758.8	8308.9	0.0	8308.9
გრანტები	30.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	476.3	632.3	0.0	632.3	750.0	0.0	750.0
სხვა ხარჯები	749.0	909.7	0.0	909.7	1116.1	0.0	1116.1
საოპერაციო სალდო	9262.8	11077.3	8063.9	3013.4	3445.1	0.0	3445.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10742.5	16760.7	8271.2	8489.5	3387.1	0.0	3387.1
ზრდა	10900.1	16845.7	8271.2	8574.5	3442.1	0.0	3442.1
კლება	157.6	85.0	0.0	85.0	55.0	0.0	55.0
მთლიანი სალდო	-1479.7	-5683.4	-207.3	-5476.1	58.0	0.0	58.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1531.0	-5741.4	-207.3	-5534.1	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0			0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

კლება	1531.0	5741.4	207.3	5534.1	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1531.0	5741.4	207.3	5534.1	0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-51.3	-58.0	0.0	-58.0	-58.0	0.0	-58.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	51.3	58.0	0.0	58.0	58.0	0.0	58.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	51.3	58.0	0.0	58.0	58.0	0.0	58.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები		23507.4	28574.4	9129.2	19445.2	22036.9	0.0	22036.9
შემოსავლები	1	23349.8	28489.4	9129.2	19360.2	21981.9		21981.9
არაფინანსური აქტივების კლება	31	157.6	85.0	0.0	85.0	55.0	0.0	55.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით)	32	0.0	0.0			0.0	0.0	0.0
გადასახდელები		25038.4	34315.8	9336.5	24979.3	22036.9	0.0	22036.9
ხარჯები	0.0	14087.0	17412.1	1065.3	16346.8	18536.8		18536.8
არაფინანსური აქტივების ზრდა		10900.1	16845.7	8271.2	8574.5	3442.1		3442.1
ვალდებულებების კლება		51.3	58.0		58.0	58.0		58.0
ნაშთის ცვლილება		-1531.0	-5741.4	-207.3	-5534.1	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 21981,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
------------	------	-----------------	-----------------

	წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	23,349.8	28,489.4	9,129.2	19,360.2	21,981.9	0.0	21,981.9
დამატებითი ღირ. გადასახადი	8,127.2	10,225.1		10,225.1	13,918.9		13,918.9
ქონების გადასახადი	4,843.8	6,500.0		6,500.0	6,800.0		6,800.0
გრანტები	8,891.4	10,664.7	9,129.2	1,535.5	270.4		270.4
სხვა შემოსავლები	1,487.4	1,099.6		1,099.6	992.6		992.6

მუხლი 4. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 20718,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2023 წლის ფაქტიური	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	12971.0	16725.1	0.0	16725.1	20718.9	0.0	20718.9
ქონების გადასახადი	113	4843.8	6500.0	0.0	6500.0	6800.0	0.0	6800.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	2443.9	4098.0		4098.0	4438.0		4438.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	24.4	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0.2	2.0		2.0	2.0		2.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ	1131132	24.2	0.0			0.0		

ქონებაზე								
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	410.7	350.0	0.0	350.0	360.0	0.0	360.0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	159.9	115.0		115.0	125.0		125.0
იურიდიულ პირებიდან	1131142	250.8	235.0		235.0	235.0		235.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	1964.8	2050.0	0.0	2050.0	2000.0	0.0	2000.0
ფიზიკურ პირებიდან	1131151	89.3	45.0		45.0	75.0		75.0
იურიდიულ პირებიდან	1131152	1875.5	2005.0		2005.0	1925.0		1925.0
სხვა გადასახადები (დღგ)	116	8127.2	10225.1		10225.1	13918.9		13918.9

მუხლი 5. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 270,4 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2023 წლის ფაქტიური	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	8891.4	10664.7	9129.2	1535.5	270.4	0.0	270.4
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	8891.4	10664.7	9129.2	1535.5	270.4	0.0	270.4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	1280.1	1011.5	818.5	193.0	270.4	0.0	270.4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		1280.1	1011.5	818.5	193.0	270.4		270.4
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		100.0	0.0			0.0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	7611.3	9653.2	8310.7	1342.5	0.0	0.0	0.0
გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან		909.9	1342.5		1342.5	0.0		
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		5645.4	7526.7	7526.7		0.0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		784.0	784.0	784.0		0.0		
მთავრობის სარეზერვო ფონდი		272.0	0.0			0.0		

მუხლი 6. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 992,6 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2023 წლის ფაქტიური	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანზფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანზფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	1487.4	1099.6	0.0	1099.6	992.6	0.0	992.6
შემოსავლები საკუთრებიდან	141	861.8	579.1	0.0	579.1	591.0	0.0	591.0
პროცენტები	1411	526.5	294.4		294.4	296.0		296.0
რენტა	1415	335.3	284.7	0.0	284.7	295.0	0.0	295.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	263.3	224.7		224.7	225.0		225.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	72.0	60.0		60.0	70.0		70.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	115.3	101.5	0.0	101.5	101.6	0.0	101.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	89.8	84.0	0.0	84.0	84.0	0.0	84.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	12.4	9.0		9.0	9.0		9.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0.4	0.0			0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	77.0	75.0		75.0	75.0		75.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	25.5	17.5	0.0	17.5	17.6	0.0	17.6
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	25.5	17.5		17.5	17.6		17.6
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	470.9	419.0		419.0	300.0		300.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	39.4	0.0			0.0		

მუხლი 7. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 18536,8 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის	2024 წლის გეგმა		2025 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

	ფაქტი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	14087.0	17412.1	1065.3	16346.8	18536.8	0.0	18536.8
შრომის ანაზღაურება	3838.7	4312.6	0.0	4312.6	4857.5	0.0	4857.5
საქონელი და მომსახურება	2722.8	3752.7	1065.3	2687.4	3458.3	0.0	3458.3
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	18.8	16.0	0.0	16.0	16.0	0.0	16.0
სუბსიდიები	6251.4	7758.8	0.0	7758.8	8308.9	0.0	8308.9
გრანტები	30.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	476.3	632.3	0.0	632.3	750.0	0.0	750.0
სხვა ხარჯები	749.0	909.7	0.0	909.7	1116.1	0.0	1116.1

მუხლი 8. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3442,1 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,900.1	16,845.7	3,442.1

ბ) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 50,0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	157.6	85.0	55.0
ძირითადი აქტივები	40.0		0.0
მატერიალური მარაგები	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	117.6	85.0	55.0
მიწა	117.6	85.0	55.0

მუხლი 9. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული ფორმით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტიური	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5156.7	6079.9	0.0	6079.9	6669.9	0.0	6669.9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5137.8	6053.9	0.0	6053.9	6653.9	0.0	6653.9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4943.1	5971.5	0.0	5971.5	6563.9	0.0	6563.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	194.7	82.4	0.0	82.4	90.0	0.0	90.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	18.9	26.0	0.0	26.0	16.0	0.0	16.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	10063.8	13494.9	8125.4	5369.5	3279.7	0.0	3279.7
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1591.6	2000.7	1296.1	704.6	333.3	0.0	333.3
70421	სოფლის მეურნეობა	1591.6	2000.7	1296.1	704.6	333.3	0.0	333.3
7045	ტრანსპორტი	8193.2	10694.2	6829.3	3864.9	2446.4	0.0	2446.4
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	8193.2	10694.2	6829.3	3864.9	2446.4	0.0	2446.4
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	279.0	800.0	0.0	800.0	500.0	0.0	500.0
705	გარემოს დაცვა	283.2	1136.4	154.3	982.1	1375.4	0.0	1375.4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	233.3	281.4	0.0	281.4	306.4	0.0	306.4
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	49.9	855.0	154.3	700.7	1069.0	0.0	1069.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2764.6	5462.4	238.3	5224.1	3161.1	0.0	3161.1
7063	წყალმომარაგება	15.5	24.1	0.0	24.1	28.0	0.0	28.0

7064	გარე განათება	436.2	497.9	0.0	497.9	571.7	0.0	571.7
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2312.9	4940.4	238.3	4702.1	2561.4	0.0	2561.4
707	ჯანმრთელობის დაცვა	256.9	262.4	0.0	262.4	284.7	0.0	284.7
7072	ამბულატორიული მომსახურება	50.7	53.7	0.0	53.7	53.7	0.0	53.7
70724	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება	50.7	53.7	0.0	53.7	53.7	0.0	53.7
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	206.2	208.7	0.0	208.7	231.0	0.0	231.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2170.1	3549.9	0.0	3549.9	3300.0	0.0	3300.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	713.6	1855.9	0.0	1855.9	1619.4	0.0	1619.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	45.6	46.0	0.0	46.0	58.3	0.0	58.3
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	1410.9	1648.0	0.0	1648.0	1622.3	0.0	1622.3
709	განათლება	3611.8	3750.5	818.5	2932.0	3216.1	0.0	3216.1
7091	სკოლამდელი აღზრდა	2682.3	2896.0	0.0	2896.0	3166.1	0.0	3166.1
7092	ზოგადი განათლება	929.5	854.5	818.5	36.0	50.0	0.0	50.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	929.5	854.5	818.5	36.0	50.0	0.0	50.0
710	სოციალური დაცვა	680.0	521.4	0.0	521.4	692.0	0.0	692.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	209.1	279.5	0.0	279.5	278.8	0.0	278.8
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	209.1	279.5	0.0	279.5	278.8	0.0	278.8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	81.8	83.8	0.0	83.8	208.9	0.0	208.9
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	99.9	104.0	0.0	104.0	140.0	0.0	140.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	289.2	54.1	0.0	54.1	64.3	0.0	64.3
	სულ	24987.1	34257.8	9336.5	24921.3	21978.9	0.0	21978.9

მუხლი 10. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 58,0 ათასი ლარით.

მუხლი 11. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 -ით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 -ით.

მუხლი 12. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 58,0 ათასი ლარით.

მუხლი 13. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. ხობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 270.4 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 203,3 ათასი ლარი;

ბ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 6,0 ათასი ლარი;

გ) ბავშვის უფლებათა კოდექსით და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება: 18 წელი და ზემოთ ასაკის ბენეფიციართა პერონალური ასისტენტის მომსახურების (3+1 ბენეფიციარი) დაფინანსება - 44,6 ათასი ლარი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე 0-18 ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ სმენის აპარატით, აპარატისთვის საჭირო აქსესუარების შესაძენად, რომელიც საჭიროებს განახლებას, ერთჯერადად დახმარების დაფინანსება - 4,0 ათასი ლარი, 0-18 წლამდე შშმ ბავშვები რომელთაც აქვთ ყოველდღიური ჰიგიენური საშუალებების საჭიროება (პამპერსი, ერთჯერადი ჰიგიენური საღებავი) ჰიგიენური საშუალებების შესაძენად (200 ლარი კვარტალურად) – 12,5 ათასი ლარი.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II.

ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ასფალტისაფარიანი გზების მოვლა-შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა, ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება, ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 02 01)

1.1.1 გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ადგილობრივი მნიშვნელობის ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. პერსპექტივაში ამ მიმართულებით გაგრძელდება ასიგნებების გამოყოფა.

ქვეპროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 3, მიზანი 9, მიზანი 11

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	02 01 01
პროგრამის დასახელება	გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური
დაფინანსება	1176,1 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ხობის მუნიციპალიტეტში გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი გზების მშენებლობა და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის ტერიტორიების ინტეგრაცია ქალაქთან, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზების სიგრძე შეადგენს 695კმ-ს, მათ შორის: ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზები- 546კმ-ს. მათ შორის ასფალტობეტონის საფარიანი გზები შეადგენს 40 %-ს.</p> <p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გენდერულად მგრძობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, არსებული გზების საფარის მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია. დაგეგმილია ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარება და შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება, (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღვევადი საშუალებები) მოწყობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია გენდერულად პასუხისმგებლიანი ადგილობრივი საგზაო ინფრასტრუქტურა, გაზრდილია გზების ექსპლუატაციის პერიოდი და უზრუნველყოფილია მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება

1.1.2 ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 02)

ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მოვლა-პატრონობა და ასევე დაზიანებული ნაგებობების რეაბილიტაცია. სათანადო რესურსების შემთხვევაში ამ კუთხით ასიგნებები კვლავ გამოიყოფა.

ქვეპროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 3, მიზანი 9, მიზანი 11

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	02 01 02
პროგრამის დასახელება	ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური
დაფინანსება	68,0 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ნაგებობების - ხიდებისა და ხიდბოგირების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 14 საავტომობილო ხიდი და ათეულობით ხიდბოგირია, რომელთა ნაწილი საჭიროებს დროულ განახლებას. სოფლებში ხიდებისა და ხიდბოგირების მოწყობა გენდერულად მნიშვნელოვანია, რათა ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და ქვეითებს შეეძლოთ მდინარეებზე უსაფრთხო გადაადგილება ხშირი წვიმების შედეგად გამოწვეული წყალუხვობის დროს.</p>

მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებულია ხიდები და ხიდბოგირები და შექმნილია პირობები მოსახლეობის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილებისთვის.
--------------------	--

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02)

1.2.1 გარე განათება (პროგრამული კოდი 02 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შპს „ხოზი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს გარე განათების მოვლა-შენახვის ღონისძიებების გახორციელებას.

ქვეპროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 3, მიზანი 9, მიზანი 11

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	02 02 01
პროგრამის დასახელება	გარე განათება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	შპს „ხოზი დასუფთავება და განათება“
დაფინანსება	571,7 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება და ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის პირობების შექმნა. პროგრამა ითვალისწინებს ქუჩების, მოედნების, მაგისტრალების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტლების, ბაღ-სკვერების, გზატკეცილების არსებული გარე განათების ქსელის განათებასა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და სწორ ექსპლოატაციას. მუნიციპალიტეტის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა; გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება. ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება. გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია-განვითარება.</p> <p>გარე განათების სისტემის მოწყობა გენდერულად მნიშვნელოვანია, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალების, ბავშვების, ხანდაზმულისა და შშმ პირებისთვის. გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება ამცირებს დანაშაულის რისკებს. გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში გარე განათების ქსელი დამატებით მოეწყობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებთან: საბავშვო ბაღებთან, სკოლებთან, დასასვენებელ და გასართობ ობიექტებთან, სახელოვნებო და სპორტულ დაწესებულებებთან და სხვა.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის საერთო სიგრძე დაახლოებით 170 კმ-ია. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სანათების რაოდენობა 5400, მათ შორის 95% ენერგოეფექტური სანათია და შემცირებულია ელექტორენერჯის მოხმარება, რაც დადებით გავლენას ახდენს გარემოზე. მუნიციპალიტეტის მწვანე პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილია დარჩენილი 10%-ს ეტაპობრივი ჩანაცვლება ენერგოეფექტური სანათებით. გარე განათების ბოძების საერთო რაოდენობა 5300-ია, დაგეგმილია ამორტიზირებული ბოძების ჩანაცვლება ახლით.</p>
მოსალოდნელი შედეგი	გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწყობილია გარე განათების ქსელი, უზრუნველყოფილია მისი შეუფერხებელი ფუნქციონირება და ღამის საათებში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირების) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

2.2.2 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)

მომავალ წლებში გათვალისწინებულ იქნება სოფლების წყალმომარაგების პრობლემების მნიშვნელოვანწილად გადაჭრა.

ქვეპროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 1, მიზანი 3, მიზანი 9

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	02 02 02
პროგრამის დასახელება	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური
დაფინანსება	28,0 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალსადენი ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული წყალსადენის საქაჩი სადგურებისა და სასაფლაოებზე მოწყობილი წლის სისტემების მიერ დახარჯული ელ. ენერჯის ხარჯის ანაზღაურება.</p> <p>მუნიციპალიტეტის 24 ადმინისტრაციული ერთეულიდან სასმელი წყლით უზრუნველყოფილია 19 ადმინისტრაციული ერთეული.</p> <p>მუნიციპალიტეტში 3 საქლორატო ნაგებობაა. 47 დასახლებას წყალი 24-საათიანი გრაფიკით მიეწოდება.</p> <p>სოფლად წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწოება გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების ქსელის მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი საკითხები და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენება მოხდება. სასოფლო დასახლებებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის შედეგად გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. წყალმომარაგების სისტემის გამართული ფუნქციონირება ქალებს შეუმსუბუქებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება არაანაზღაურებად შრომაში მათ ჩართულობის ხანგრძლივობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	სოფლებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებით რეაბილიტირებული და მოწყობილია წყალმომარაგების სისტემა. გაზრდილია წყალზე ხელმისაწვდომობა და შექმნილია პირობები მოსახლეობის საოჯახო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის.

1.2.3 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)

პერსპექტივაში კვლავ გრძელდება საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 11, მიზანი 16

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	02 02 03
პროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური
დაფინანსება	2561,4 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიან საცხოვრებელ სახლების მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი სამუშაოების დაფინანსება. ბინათმესაკუთრეთა დახმარების მიზნით, პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: მრავალსართულიანი სახლების გადახურვა; წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია; საცხოვრებელი სახლების დაზიანებული წყალარინების კომუნიკაციების აღდგენა, ეზოების კეთილმოწყობა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შედეგად მოეწყობა გენდერულად პასუხისმგებლიანი, თანაბარხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა. ამასთან, დაზიანებული წყალარინების ქსელის აღდგენას დადებითი გავლენა ექნება გარემოზე, ადარ მოხდება გრუნტის წყლების დაბინძურება. ამასთან, წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაციის შემდეგ შემცირდება წვიმის წყლით კორპუსების დაზიანების რისკი და ეზოების დატბორვა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია; სპორტული მოედნების მოწყობა, ატრაქციონებისა და სავარჯიშო მოწყობილობების შექმნა. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები, რათა ყველა მოქალაქემ თანაბრად და შეზღუდვების გარეშე შეძლოს მუნიციპალური გასართობი და სპორტული ობიექტებით სარგებლობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლების ბინათმესაკუთრება ჩართულობა მათი სახლების რეაბილიტაციის პროცესში და გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო; შექმნილია გენდერულად პასუხისმგებლიანი დასასვენებელი და სპორტული ინფრასტრუქტურა

1.2.4 სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 04)

რეგიონის ჭარბნალექიანობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხებს.

ქვეპროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 1, მიზანი 3, მიზანი 9, მიზანი 11

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	02 02 04
პროგრამის დასახელება	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური
დაფინანსება	1069,0 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების (სანიაღვრე არხების, ქსელების) მოწესრიგებას. მუნიციპალიტეტის მიერ მწვანე პოლიტიკის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია.</p> <p>მუნიციპალიტეტში ამჟამად მრავლად არის დაზიანებული ნაგებობები, ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები. დაგეგმილია საინჟინრო</p>

	ნაგებობების (სანიაღვრე არხების, ქსელების) მშენებლობა, აღდგენა-რეკონსტრუქცია-გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას. ამასთან, შემცირდება გარემოზე უარყოფითი გავლენა, სანიაღვრე არხების მოწყობის შემდეგ წვიმების დროს დაცული იქნება საგზაო ინფრასტრუქტურა და შემცირდება დატბორვისა და წყალმოვარდნების რისკი.
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია და გამართულად ფუნქციონირებს სანიაღვრე სისტემები და წყალუბზე სეზონებზე შემცირებულია გარემოზე უარყოფითი გავლენა

1.2.6 მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 06)

შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დაწესებულებების სასმელი წყლით მომარაგებას, ასევე ქ. ხობის მოსახლეობისა და ქ. ხობში განთავსებული დაწესებულებებისთვის წყალარინებით მომსახურების უზრუნველყოფას.

ქვეპროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 1, მიზანი 6 და მიზანი 9

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	02 02 06
პროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“
დაფინანსება	306,4 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“ ემსახურება 6 ადმინისტრაციულ ერთეულში (ზემო ქვალონი, შუა ქვალონი, ხეთა, თორსა-დღვბა, ზუბი, ხამისკური) არსებულ ქსელებს.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემა შეუფერხებელი ფუნქციონირებს და უზრუნველყოფილია მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება

1.3 სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 05)

მუნიციპალიტეტისათვის ამ მეტად პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში საჭირო იქნება ცენტრალური ბიუჯეტიდან სათანადო სახსრების გამოყოფა.

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 1, მიზანი 9

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	02 05
პროგრამის დასახელება	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური
დაფინანსება	90,0 ლარი
	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობას, გამაგრებასა და რეაბილიტაციას. ქვეპროგრამის მიზანია წყალმოვარდნების რისკების პრევენცია და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდა, ამასთან

პროგრამის აღწერა და მიზანი	გზების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანების რისკის შემცირება. ნაპირსამაგრების მოწყობას დადებითი გავლენა აქვს გარემოზე და ამასთან გენდერულად მნიშვნელოვანია. ბუნებრივი საფრთხეებით/სტიქიური მოვლენებით გამოწვეული კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის მუნიციპალიტეტი თავისი საკუთარი შემოსავლებით გეგმავს ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობას, თუმცა მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების გამოყოფა, რათა კომპლექსური მიდგომის ფარგლებში მოხდეს პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და თავიდან იქნას აცილებული სტიქიური მოვლენებით გამოწვეული საფრთხეები.
მოსალოდნელი შედეგი	წყალმოვარდნების რისკების პრევენციისთვის მოწყობილია ნაპირსამაგრები და შექმნილია პირობები მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისთვის

1.4 რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამით ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გამოყოფილი ორსიგნებებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 9 მიზანი 11, მიზანი 16

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	02 06
პროგრამის დასახელება	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური
დაფინანსება	500,0 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან, ნაწილი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით, ძირითადად საგზაო სამუშაოები.
მოსალოდნელი შედეგი	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსების ფარგლებში შექმნილია პირობები ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებელი განხორციელებისთვის

1.5 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის მიზანია ტურისტულად საინტერესო ადგილების შერჩევა, მონიტორინგი, საინტერესო სპორტულ-ტურისტული ღონისძიებების ჩატარება, ტურისტული სანახაობებითა და მატერიალური კულტურულ-რელიგიური ძეგლებით ტურისტების დაინტერესება, მოსახლეობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ ცნობადობის ამაღლება.

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 16

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	02 07
პროგრამის დასახელება	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
დაფინანსება	30,0 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანი: ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულად საინტერესო ადგილების შერჩევა, ტურისტული სანახაობებითა და მატერიალური კულტურით დაინტერესებულ პირთა ცნობადობის ამაღლება მუნიციპალიტეტის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ.</p> <p>ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არაერთი ტურისტულად საინტერესო ადგილია, რომელთა შერჩევა-შეფასება ხორციელდება. მოეწეობა საინტერესო სპორტულ-ტურისტული ღონისძიებები: ველოტურები, ლაშქრობები და ექსკურსიები, ახალგაზრდების დაინტერესება ტურისტულად საინტერესო მარშრუტებით და მათთვის საინტერესო ინფორმაციების მიწოდება ისტორიული ძეგლებისა თუ ბუნებრივი ძეგლების შესახებ;</p> <p>2024 წელს დაიგეგმა შემდეგი ტურისტული ხასიათის ღონისძიება: ლაშქრობა წმინდა სოფიას ტაძრის მიმართულებით; ლაშქრობა მტირალას მთაზე (ქობულეთი). მოეწეო ტურისტული თვალსაზრისით საინტერესო ღირსშესანიშნაობებისა და რესურსების გამოფენა „#მემიყვარსხობი“ ღონისძიების დროს.</p> <p>ხობის მუნიციპალიტეტის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ წიგნი გამოიცემა.</p> <p>ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრთან“ ერთად ხორციელდება უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება, რაც ხელს უწყობს რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას და რეგიონული ტურიზმის პოპულარიზებას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია პირობები ხობის ტურისტული სანახაობებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების პოპულარიზაციისთვის

2. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობა, მათ შორის: ნიადაგის მომზადება დარგვისათვის ან თესვისთვის; მწვანე ნარგავების დარგვა და გადარგვა; მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებში მონაწილეობა სტიქიური და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში; გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, რომელიც მოიცავს მცენარეების მოვლას, ტერიტორიის გათიზვას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ვერტიკალური გამწვანების (მცენარეების) მოვლა-პატრონობა; ხეების ფორმირებითი, სანიტარული და გამაახალგაზრდავებელი სხვა; დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, გადაბერებული (ამორტიზებული) და ავარიული ხეების მოჭრა, მოვლითი ჭრების განხორციელება; მოჭრილი მწვანე ნარგავებისა და მწვანე ნარჩენების მართვა;

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 11

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	03 01
პროგრამის დასახელება	დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

<p>პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი</p>	<p>ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური შპს „ხობი დასუფთავება და განათება“</p>
<p>დაფინანსება</p>	<p>1202. 3 ლარი</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავებისა და გამწვანების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.</p> <p>ხობის მუნიციპალიტეტი მწვანე პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტურობის გაზრდას, ტერიტორიების გამწვანებას და კლიმატგონივრული მიდგომების დანერგვას.</p> <p>გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩებისა და მოედნების დაგვა/დასუფთავება, პარკ ხეივნების მოვლა/პატრონობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან.</p> <p>მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება (კონტეინერების შექმნა), გატანის ინტენსივობის გაზრდა მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა. ამდენად, ნარჩენების მართვის სერვისის მიწოდებისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.</p> <p>ამ დროისთვის ქალაქ ხობში ყოველდღიურად (დღეში ორჯერ) ხდება ნარჩენების გატანა, ქალაქში განთავსებულია 147 კონტეინერი, ნარჩენების გატანის სერვისი ყველა სოფელშია ხელმისაწვდომი, 18 სოფლიდან კვირაში ორჯერ ხდება ნარჩენების გატანა, ხოლო 5 სოფლიდან კვირაში ერთხელ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას ემსახურება 4 ნაგავზბიდი. ქალაქსა და სოფლებში განთავსებული 576 ურნიდან ყოველ დღიურად მოხდება 12 ტონამდე ნარჩენის გატანა ნაგავსაყრელის პოლიგონზე.</p> <p>ამასთან, მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად უზრუნველყოფს სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციას, რაც მნიშვნელოვანად ამცირებს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში 2025 წლისათვის დაგეგმილია ქალაქ ხობში 60080 კვმ-ით მეტი ფართობის დაგვა-დასუფთავება, საჭიროების გათვალისწინებით ქუჩების მორწყვა-მორეცხვა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა და განახლება.</p> <p>პროგრამას პოზიტიური გავლენა აქვს გარემოზე.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ხობის მუნიციპალიტეტში დანერგილია მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა, ნარჩენების გატანის სერვისით უზრუნველყოფილია მოსახლეობა და გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა</p>

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

1994 წელს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის რატიფიცირებით საქართველომ დაადასტურა, რომ აღიარებს ყოველი ბავშვის უფლებას ჰქონდეს ისეთი ცხოვრების სტანდარტი, რაც ადეკვატურია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარებისათვის საქართველოს მთავრობამ აიღო ძლიერი ვალდებულება ადრეული ასაკიდან ბავშვთა განვითარების პრინციპების მიმართ და მხარს უჭერს ბავშვთა განვითარებას, ემოციურად დაცული, სოციალურად ადაპტირებული სწავლის შესაძლებლობის, რაც დადასტურებულია ეროვნული პოლიტიკით და დემონსტრირებულია მიმდინარე პროგრამებით.

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა შეიქმნას მყარი საფუძველი აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება; აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად კადრების მომზადება და გადამზადება.

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 4

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	04 01
პროგრამის დასახელება	სკოლამდელი განათლების დაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“
დაფინანსება	3166,1 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას. სტანდარტების შესაბამისად სააღმზრდელო მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) მოწყობა-განვითარება, პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, სახანძრო უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვა.</p> <p>დღეის მდგომარეობით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი. მ.შ ქალაქში - 2, სოფლად - 23. ბავშვთა რაოდენობა სულ შეადგენს 710-ს, აქედან გოგოა - 338, ბიჭი - 372. სკოლამდელი განათლების სერვისს იღებს 8 შშმ ბავშვი, მათ შორის 5 გოგო და 3 ბიჭი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 250 თანამშრომელი, მათ შორის 242 ქალი და 8 კაცი. ამ დროისთვის 53 აღმზრდელ-მასწავლებლიდან გადამზადებულია 48. ტექნიკური რეგლამენტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულებების ნორმების“ და HACCP-ის პროგრამის შესაბამისად კვებითი ღირებულება შეადგენს 1 292,84 კკალ-იას. ნორმებისა და სეზონური მენიუების კალორაჟის გათვლით კვების ღირებულება 5,27 ლარია.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში შექმნილია სტანდარტების შესაბამისი, ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული თანაბარხელმისაწვდომი გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა

3.2 საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 05)

ხობის მუნიციპალიტეტი, ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარების სააგენტოსთან კოორდინაციით, „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფილია შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის პირობების შესაბამისად.

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 4

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	04 05
პროგრამის დასახელება	საჯარო სკოლების დაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის დეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
დაფინანსება	50,0 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა.</p> <p>მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უსაფრთხო მომსახურება ხორციელდება ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარების სააგენტოსთან კოორდინაციით და უზრუნველყოფილია თანაბარი ხელმისაწვდომობა.</p> <p>2024 წელს „სკოლაში მიყვანა“ და „სკოლიდან წამოყვანა“ 272 მიმართულებებზე განხორციელდა. 2066,50 კმ დღიურ სამარშრუტო კილომეტრაჟზე, 1849 მოსწავლეზე იყო გათვლილი, სექტემბრის ცვლილებით, ახალი სასწავლო წლიდან დაემატა 207,60 კმ, რაც მოსწავლეთა მობილობითა (მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 125 მოსწავლით) და შენობის რეაბილიტაციის გამო, სსიპ ხეთის საჯარო სკოლის, ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლაში გადასვლით იყო განპირობებული. მომსახურების ღირებულება - 15 159,34 ლარით გაიზარდა. ჯამში 2024-2025 სასწავლო წლის ტრანსპორტის მომსახურების ღირებულება 817 002,67 ლარით განისაზღვრა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი პირობები საჯარო სკოლების მოსწავლეების საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე და პირიქით, უსაფრთხო გადაადგილებისთვის

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება და კულტურის პოპულარიზაცია, კულტურის პროექტების განხორციელება, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა, შემოქმედებითი ჯგუფების ხელშეწყობა, კულტურულ ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, მოზარდი თაობის, ახალგაზრდობის დაინტერესება სახელოვნებო მიმართულებით, შემოქმედებითი წრეების (ფოლკლორი, საესტრადო, ხალხური რეჟვა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, საბავშვო, სამოყვარულო და პროფესიული თეატრალური დასი) საშუალებით. თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა;

ხელი შეუწყოს მოქალაქეთა დასვენება-გართობის ორგანიზებას, ახალი თაობის დაინტერესებას სპორტით, რაც ხელს უწყობს მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი რანგის შეჯიბრებები; სპორტის სხვადასხვა სახეობაში ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა, მატერიალურად წახალისება მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში და ოლიმპიურ/პარალიმპიურ თამაშებში გამარჯვებული სპორტსმენები და მწვრთნელები.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, ტრადიციული სპორტი; ხელშეწყობილია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში; წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელებისა და ვეტერანების წახალისება.

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 3,

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	05 01 01
პროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის დეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
დაფინანსება	55,0 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანი: სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, ტრადიციული სპორტის მხარდაჭერა; წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახეობებში სპორტულ ტურნირებზე გამარჯვებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების მატერიალური მხარდაჭერა, ამ გზით მათი სპორტული მიღწევების და შემდგომი პროგრესის ხელშეწყობა.</p> <p>მატერიალურად წახალისებული არიან მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ/პარალიმპიურ თამაშებში გამარჯვებული ხობელი სპორტსმენები და მწვრთნელები.</p> <p>2023 წელს დაჯილდოვდა 23 სპორტსმენი (გოგო-2, ბიჭი-21) და 11 მწვრთნელი (ქალი-1, კაცი-10). 2024 წლის ბოლოს გათვალისწინებულია წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება. 2025 წლის ბოლოს ასევე დაჯილდოვდებიან წარმატებული ხობელი სპორტსმენები და მათი მწვრთნელები. ასევე საქართველოს, ევროპის, მსოფლიოსა და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორ ვეტერანებს - 65 წლის და ზემოთ ასაკის სპორტსმენებს გადაეცემათ სასაჩუქრე პაკეტები.</p>
მოსალოდნელი შედეგი	სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით წახალისებული არიან წარმატებული ხობელი სპორტსმენები და მათი მწვრთნელები, ასევე ვეტერანი სპორტსმენები.

4.1.2 ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

მუნიციპალიტეტი ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით სრულად აფინანსებს საფეხბურთო კლუბ „კოლხეთს“, ხდება ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალთა გუნდის ტურნირების დაფინანსება, რაც 2024 წლისათვის 488,8 ათასი ლარი იყო.

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 3,

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	05 01 02
პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“
დაფინანსება	641,3 ლარი
	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მიერ 100% დაფუძნებული

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>საფეხბურთო კლუბის ხელშეწყობა და ფეხბურთით დაინტერესებული ბავშვებისა და მოზარდებისთვის სათანადო პირობების შექმნა. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჭაბუკთა ლიგის გუნდების საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯების დაფინანსება; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სპორტული ტურნირების ორგანიზება; ფეხბურთის მოყვარულთა რაიონული ლიგისა და მასტერ ლიგის გუნდების სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯების დაფინანსება და ქალთა საფეხბურთო გუნდის დაფინანსება.</p> <p>საფეხბურთო კლუბში ფუნქციონირებს ბავშვთა 9 საშეჯიბრო ასაკობრივი ჯგუფი, საიდანაც რვა ჯგუფი დაკომპლექტებულია ბიჭებით და ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 134 ბავშვს, ფუნქციონირებს გოგონათა ერთი ასაკობრივი ჯგუფი. სულ ფეხბურთით დაინტერესებული 12 გოგონა ვარჯიშობს. საფეხბურთო კლუბში ასევე ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგაში მოასპარეზე კაცთა (24 კაცი) და უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ქალთა (18 ქალი) საფეხბურთო გუნდები. მწვრთნელების რაოდენობა შეადგენს 16 კაცს. კლუბს არ ჰყავს მწვრთნელი ქალი.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>შექმნილია პირობები საფეხბურთო კლუბის გამართული ფუნქციონირებისთვის და უზრუნველყოფილია ფეხბურთის თანაბარი ხელმისაწვდომობა ბიჭებისა და გოგონებისთვის</p>

4.1.3 სტადიონების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)

პროგრამის ფარგლებში ხდება არსებული სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა.

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 3, მიზანი 9, მიზანი 11

<p>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი</p>	<p>05 01 03</p>
<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>სტადიონების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები</p>
<p>პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი</p>	<p>ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური</p>
<p>დაფინანსება</p>	<p>135,0 ლარი</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სპორტული მოედნების მოვლა-შენახვა, დაზიანებული „უბნების“ რეაბილიტაცია.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>უზრუნველყოფილია სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა და გაზრდილია მათი ექსპლუატაციის ვადა</p>

4.1.4 ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 06)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრში“ ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის).

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 3, მიზანი 4,

<p>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი</p>	<p>05 01 06</p>
<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის ხელშეწყობის ღონისძიებები</p>
<p>პროგრამაზე პასუხისმგებელი და</p>	<p>ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრი</p>

განმახორციელებელი	
დაფინანსება	788,1 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამით გათვალისწინებულია 18 წლამდე სპორტში ჩართული ახალგაზრდების სპორტული ტურნირებზე (ჭიდაობა, მკლავჭიდი, ძიუდო, კრივი, სამბო, მძლეოსნობა, ბილიარდი, ჭადრაკი, კარატე) მონაწილეობის მიღება, ადგილობრივი ტურნირების ჩატარება, სპორტულ გამაჯანსაღებელ ფიტნეს ცენტრის ფუნქციონირება. მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა მუნიციპალურ, რეგიონალურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში, როგორც ვაჟებისთვის, ასევე გოგონებისთვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომ-შშმ) პირების ჩართულობის ხელმისაწვდომობა მათი უნარების და სურვილების გათვალისწინებით.</p> <p>შესაბამისად, პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას.</p> <p>სპორტის ცენტრში ფუნქციონირებს 10 სპორტული სახეობა (ჭიდაობა, მკლავჭიდი, ძიუდო, კრივი, სამბო, მძლეოსნობა, ბილიარდი, ჭადრაკი, კარატე), სადაც სიით აღირიცხება 276 მოსწავლე, აქედან 220 ბიჭი და 56 გოგონა.</p> <p>ყველა სპორტის სახეობა თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც ბიჭებისათვის, ასევე გოგონებისთვის. გოგონები უფრო დატვირთულნი არიან არამალისმიერ სპორტში კერძოდ: ჭადრაკი , მძლეოსნობა, ბილიარდი და კარატე.</p> <p>18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისთვის სელექციონერის მიერ ხდება ჩვენს ბაზაზე არსებული წრეების შეთავაზება.</p> <p>ცენტრში დასაქმებულია 35 თანამშრომელი: 23 მამაკაცი და 12 ქალი. ასევე შტატგარეშე 3 თანამშრომელი: 1 მამაკაცი, 2 ქალი.</p> <p>ა(ა)იპ-ის ბიუჯეტიდან ფინანსდება შიდამუნიციპალური სპორტული ღონისძიებები, რაც ითვალისწინებს წახალისების მიზნით სიგელების, მედლებისა და პრიზების დაფინანსებას, როგორც გოგონებისთვის, ასევე ვაჟებისთვის.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ვაჟები და გოგონები ჩართული არიან სპორტულ აქტივობებში და წახალისებულია მათი სპორტული მიღწევები</p>

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

4.2.1 ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ძეგლთა დაცვის ხარჯები განკუთვნილია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლების მონიტორინგის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებასთვის, პირველ მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში „მაჩხომერის“ მთაზე მიმდინარე არქეოლოგიური და შემოგარენში დაზვერვითი სამუშაოების ჩატარებისთვის მუნიციპალიტეტის სამეცნიერო, ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით ბეჭდური გამოცემის მომზადებისთვის.

ქვეპროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 9,

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	05 02 02
პროგრამის დასახელება	ძეგლთა დაცვის ხარჯები

პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის დეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
დაფინანსება	58,3 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლების მონიტორინგის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში პირველ მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში „მაჩხომერის“ მთაზე მიმდინარეობს VIII ეტაპის არქეოლოგიური და შემოგარენში დაზვერვითი სამუშაოები. 2015-2024 წწ. „მაჩხომერის“ მთაზე მიმდინარეობს არქეოლოგიური სამუშაოები. ამ დროის განმავლობაში გამოიკვეთა მრავალი დღემდე უცნობი ისტორიულ-არქიტექტურული თუ არქეოლოგიური არტეფაქტი, მათ შორის V-VI საუკუნეებით დათარიღებული საკულტო ნაგებობა-ეკლესია, კოშკები, გალავანი, ქურა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერძნულ ენაზე შესრულებული ქვის ფილების ფრაგმენტები, რომელთა შორის ერთი მთელია. ამ წარწერებმა მიიპყრო საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება, რასაც ადასტურებს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მინის ჭურჭელი, მათ შორის სირიიდან, კერძოდ ლევანტედან შემოტანილი ლამპრები; თიხის ადგილობრივი თუ იმპორტირებული ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის ნაწარმი, სხვადასხვა მინის თუ ბუნებრივი ქვის თვლები, მრავალფეროვანი სამშენებლო დეტალი, მოხატული კირქვის და მოზაიკის ფრაგმენტები.</p> <p>ხობის მუნიციპალიტეტის სამეცნიერო, ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, მომზადდება ნოჯიხევისა და ხობის ისტორიის შესახებ ბეჭდური გამოცემა და წიგნის სახით გამოცემა.</p> <p>ახალგაზრდებისთვის ჩატარდება თემატური შეხვედრები ისტორიული ძეგლების შესახებ, მხარეთმცოდნეობის კუთხით მოეწყობა ლაშქრობები.</p>
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია პირობები „მაჩხომერის“ მთაზე VIII ეტაპის არქეოლოგიური გათხრების დასრულებისთვის; მომზადებულია ნოჯიხევისა და ხობის ისტორიის შესახებ ბეჭდური გამოცემა.

4.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია ახალგაზრდების გაძლიერება, მათ წინაშე არსებული გამოწვევების: ჯანმრთელობა, განათლება, დასაქმება, რესურსებისა და შესაძლებლობების თანაბარ ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობა. ახალგაზრდული ინიციატივებისა და საქმიანობების სტიმულირების, მათი შესაძლებლობების რეალიზაციის მიზნით დაფინანსებულია ახალგაზრდული ინიციატივები, ინიცირებული პროექტები, ახალგაზრდული ღონისძიებები.

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 3, მიზანი 4, მიზანი 16

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	05 03
პროგრამის დასახელება	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის დეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
დაფინანსება	45,0 ლარი
	<p>პროგრამის მიზანია ახალგაზრდების გაძლიერება, მათ წინაშე არსებული გამოწვევების მოგვარება (როგორც არის ჯანმრთელობა, განათლება, დასაქმება), რესურსებისა და შესაძლებლობების თანაბარ</p>

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათი ჩართულობა.</p> <p>ახალგაზრდობა არის მუნიციპალიტეტის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს. მათი მხარდაჭერისა და ფინანსური ხელშეწყობის მიზნით, სამინისტროებიდან, რეგიონიდან, საინიციატივო ჯგუფებიდან, საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან შემოსული წინადადებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინიცირებული ახალგაზრდული პროექტები და ღონისძიებები ფინანსდება.</p> <p>მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის წარმატებულ მოსწავლეებისა და წარმატებული სტუდენტების წახალისებისთვის გაიცემა ერთჯერადი ფულადი ჯილდო; 2023 წელს დაჯილდოვდა 67 წარმატებული მოსწავლე/ახალგაზრდა, ხობის მუნიციპალიტეტის 25 საჯარო და 1 კერძო სკოლების 47 მედალოსანი, მათ შორის ოქროს (48, გოგო-26, ბიჭი-22) და ვერცხლის 21 (გოგო-13 , ბიჭი-8) მედალოსანი მოსწავლეები.</p> <p>2024 წელს დაჯილდოვდა 47 წარმატებული მედალოსანი მოსწავლე, ოქროსმედალოსანი - 31 მოსწავლე (გოგო-16, ბიჭი-15); ვერცხლისმედალოსანი -16 მოსწავლე (გოგო-10, ბიჭი-6). 2025 წელს გაგრძელდება აღნიშნული პროგრამა.</p> <p>2023 წლიდან ჯილდოვდებიან წარმატებული სტუდენტები, რომლებმაც საუკეთესო შედეგებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები, მოიპოვეს 100%-იანი სახელმწიფო გრანტი და ჩაირიცხნენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნული პროგრამა 2025 წელს გაგრძელდება.</p> <p>2023 წელს დაჯილდოვდა 4 წარმატებული სტუდენტი (გოგო-2, ბიჭი-2); 2024 წელს დაჯილდოვდა 5 წარმატებული სტუდენტი, რომელთაც ეროვნულ გამოცდებზე მოიპოვეს 100%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტი (გოგო-4, ბიჭი-1).</p> <p>ასევე წახალისებული არიან ხობის მუნიციპალიტეტში განათლების სფეროში მოღვაწე პირები, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისა და საჯარო და კერძო სკოლის წარმატებული, დამსახურებული ღვაწლმოსილი მუშაკები.</p> <p>2023 და 2024 წლებში დაჯილდოვდნენ განათლების სფეროს მუშაკები (სკოლამდელი განათლება-3, სკოლა-3).</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მხარდაჭერილია ახალგაზრდული ინიციატივები და შექმნილია პირობები ახალგაზრდების უნარების გაძლიერებისთვის; წახალისებული არიან საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის წარჩინებული მოსწავლეები, წარმატებული სტუდენტები და განათლების სფეროს ღვაწლმოსილი მუშაკები.</p>

4.5 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური კერების, ხობის ხარების დედათა და პირველი ხორგის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრების, ფინანსური მხარდაჭერა.

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 11, მიზანი 16

<p>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი</p>	<p>05 04</p>
<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა</p>

პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის დეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
დაფინანსება	18,0 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დახმარების გაწევა. მუნიციპალიტეტის სამოქმედო არეალში მრავალი ისტორიულ-რელიგიური კერა არსებობს, რომლებიც შესაბამის დახმარებას და მხარდაჭერას საჭიროებენ ფინანსური კუთხით. პროგრამით ფარგლებში გათვალისწინებულია ხობის ხარების დედათა მონასტრისა და პირველი ხორგის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის ეზოში მოწყობილი გარე განათების სისტემაზე გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ნოჯიხევის დედათა მონასტრისა და პირველი ხორგის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის ეზოში მოწყობილი გარე განათების სისტემაზე გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა.

4.6 კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი (05 05))

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი პროცესისა და მასთან დაკავშირებული სერვისების ერთიან სივრცეში მიღებით, მოქალაქეთა შემოქმედებითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების წარმოჩენა, ხელშეწყობა. მოქალაქეთა დასვენება-გართობის ორგანიზება-ხელშეწყობა. მოზარდი თაობის, ახალგაზრდობისა და დაინტერესებული მოქალაქეებისთვის სახელოვნებო მიმართულების პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა, პროფესიული წრეების საშუალებით (ფოლკლორის, საესტრადო, ხალხური რეწვის, სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების, საბავშვო, სამოყვარულო და პროფესიული თეატრალური დასის). მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესების ხელშეწყობა; ბავშვთა და მოზარდთა ინტერესებისა და მიდრეკილებების ჩამოყალიბება და განვითარება; დაწყებითი მუსიკალური განათლების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მართვა და განვითარება.

პროგრამა ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) შემდეგი მიზნების მიღწევას: მიზანი 3, მიზანი 4, მიზანი 11, მიზანი 16

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	05 05
პროგრამის დასახელება	კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი	ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, დეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
დაფინანსება	1559,3 ლარი
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი პროცესისა და მასთან დაკავშირებული სერვისების ერთიან სივრცეში მიღებით, მოქალაქეთა შემოქმედებითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების წარმოჩენა, ხელშეწყობა. მოქალაქეთა დასვენება-გართობის ორგანიზება-ხელშეწყობა. ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა. მოზარდი თაობის, ახალგაზრდობისა და

დაინტერესებული მოქალაქეებისთვის სახელოვნებო მიმართულების პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა, პროფესიული წრეების საშუალებით (ფოლკლორის, საესტრადო, ხალხური რეწვის, სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების, საბავშვო, ერთი მსახიობის, თოჯინების თეატრის, სამოყვარულო და პროფესიული თეატრალური დასის) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესების ხელშეწყობა; ბავშვთა და მოზარდთა ინტერესებისა და მიდრეკილებების ჩამოყალიბება და განვითარება; დაწყებითი მუსიკალური განათლების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მართვა და განვითარება. მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა თემატურ კონფერენციებში, სასწავლო-შემეცნებით ტრენინგ-კურსებში და მუნიციპალურ და რეგიონულ კონკურსებში საჯარო სკოლებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებთან თანამშრომლობით; მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო მიმართულების განვითარებისთვის გარემოს შექმნა, ფოლკლორის, საესტრადო, ხალხური რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრეების საშუალებით; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობის ხელმისაწვდომობა არაფორმალურ განათლებაში, მათი უნარებისა და სურვილების გათვალისწინებით;

მუნიციპალური გაზეთის, ჟურნალის, დაბეჭდილი წიგნებისა და სხვა საინფორმაციო რესურსების ერთჯერადად ან პერიოდულად გამოცემა, არსებული წიგნადი ფონდის დაკომპლექტება-დამუშავება, შევსება-განახლება, მოსახლეობისთვის წიგნის ხელმისაწვდომობისა და მკითხველთა მომსახურების უზრუნველყოფა.

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ კოორდინირებას უწევს ქ. ხობში კულტურის სახლის ფუნქციონირებას, კულტურის სახლში იმართება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, მოწვეული შემსრულებლებისა და ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით;

კულტურის სახლში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:
ქართული ხალხური ცეკვები, სასცენო მეტყველება, საესტრადო სიმღერების, გიტარის, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების, თექასა და გობელენზე მუშაობის შემსწავლელი, სალოტბარო სკოლა.
აღნიშნული წრეები ემსახურება 208 ბენეფიციარს.
ფუნქციონირებს თოჯინების, ერთი მსახიობის, ბავშვთა და სახალხო თეატრები.

კულტურის სახლში ფუნქციონირებს 40-წლიანი ისტორიის მქონე ფოლკლორული ანსამბლი „კოლხეთი“.

თედო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა ხობში: წიგნადი ფონდი 47830 და 710 მკითხველი; პირველი მაისის სასოფლო ბიბლიოთეკა: წიგნადი ფონდი 4102, მკითხველი 103; ხეთის სასოფლო ბიბლიოთეკა: წიგნადი ფონდი 3990, მკითხველი 115; ხამისკურის სასოფლო ბიბლიოთეკა: წიგნადი ფონდი 4563, მკითხველი 110; საჯიჯაოს სასოფლო ბიბლიოთეკა: წიგნადი ფონდი 7580 მკითხველი 160; ზუბის სასოფლო ბიბლიოთეკა: წიგნადი ფონდი 2427; მკითხველი 115; ახალი ხიბულის სასოფლო ბიბლიოთეკა: წიგნადი ფონდი 4656, მკითხველი 120; ძველი ხიბულის სასოფლო ბიბლიოთეკა: წიგნადი ფონდი 5685, მკითხველი 80; შუა ხორგის სასოფლო ბიბლიოთეკა: წიგნადი ფონდი 7580, მკითხველი 120; ჭალადიდის სასოფლო ბიბლიოთეკა: წიგნადი ფონდი 4991, მკითხველი 165; ქვემო ქვალონის სასოფლო ბიბლიოთეკა: წიგნადი ფონდი 5988, მკითხველი 110; თორსის სასოფლო ბიბლიოთეკა: წიგნადი

